საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4450
09/06/2023

4450-21-2-202306091613

შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალს“
მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გაჩიანი
ელ. ფოსტა: dato.ksani@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე 2023 წლის 8 ივნისის N5215 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გაჩიანში შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალის“ 22800 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის პროექტს.

გაცნობებთ, რომ განცხადება წარმოდგენილია მიმდინარე საქმიანობაზე, თუმცა ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის სხვადასხვა თავებში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც განხილულია შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალის“ მიერ 22 800 $მ^3$ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობა და ექსპლუატაცია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის პროცედურის ჩატარება და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენა ევალება საქმიანობის განმახორციელებელ მეწარმე სუბიექტს“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან, კოდექსის თანახმად, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში მზადდება მიმდინარე საქმიანობაზე.

გარდა ამისა, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ცენტრა თბილისი ტერმინალის“ 23117 $მ^3$ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გაჩიანში, თუმცა დოკუმენტაციაში განხილულია 22800 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის მოცულობა.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო